# უმე-ს ტულჩინის ეპარქიის საბჭომ კიევში პატრიარქ ბართლომეოსის ვიზიტის შემდგომი მეუ-ს რადიკალების ქმედებები შეაფასა

2021 წლის 7 სექტემბერს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტულჩინის ეპარქიის ეპარქიალური საბჭოს საგანგებო სხდომა შედგა: მასში მონაწილეობა მიიღეს საეკლესიის საეპარქიო ოლქების კეთილმოწესეებმა, ასევე ტიშკოვსკის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრის ადგილმონაცვლემ არქიმანდრიტმა ამფილოქემ (ვასილევსკი) და ჩეჩელნიცის მიქაელ მთავარანგელოზის დედათა მონასტრის წინამძღვარმა იღუმენია სერაფიმამ (სმაგლო).

საბჭომ მოისმინა ცნობა იურიდიული სიყალბის შესახებ, როგორც ბერშადის ოლქის უმე-ს ტულჩინის ეპარქიის სოფელ კრასნოსელკაში კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნის ძირითადი მიზეზი. და მკაცრად დაგმო ტულჩინის ეპარქიის კანონიკურ ტერიტორიაზე ტაძრების მიტაცების უკანონო ქმედებები.

ცნობა:

უმე-ს ტულჩინის ეპარქიის საეპარქიო სამმართველომ მიიღო შეტყობინება ბერშადის საეკლესიო ოლქის (ვინიცის ოლქის გეისინსკის რაიონი) დეკანოზ ოლეგ მურახოვსკისგან, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ 2021 წლის 3 სექტემბერს, პოლიციის მიერ ადრე დალუქულ იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის ტერიტორიაზე სქიზმატების წარმომადგენელები „მეუ-ს მღვდლების“ როსტისლავ პროცანინისა და სერგი იარკოს მეთაურობით ეკლესიასთან არსებულ სახლის კარს ამტვრევდნენ, სადაც კანონიკური ეკლესიის სამრევლო დროებით ღვთისმსახურებებს ატარებდა. ამ დროს ტაძართან უკვე პოლიციის ორი ავტომობილი იდგა, თითქოს „მართლწესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად“. მხოლოს მამა ოლეგ მუხაროვსკის შსს-ს ცხელ ხაზზე დარეკვის შემდეგ პოლიციამ დაიწყო განცხადებებისა და განმარტებების შეგროვება.

ბერშადის გაერთიანებული ტერიტორიული გრომადის (громады) თავმჯდომარის მოადგილის, ნეჩიტაილოს თქმით, მას უკვე ჰქონდა „ხელმძღვანელობისგან ზეპირი განკარგულება“: უზრუნველყო ტაძრის საკითხის „სწორი“ გადაწყვეტა.

მეუ-ს წყაროების თანახმად, ტაძრის მიტაცება არ მომხდარა, რადგან მათ აქვთ უკრაინის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (№61-7647ск21 от 05.06.2021) იმის შესახებ, რომ უმეს-ს კრასნოსელსკის ტაძარი ეკუთვნის „მეუ-ს კრასნოსელკის რელიგიურ სამრევლოს“, რომელიც ხელოვნურად შეიქმნა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სოფლის ნაწილი მოსახლეობის შეკრების საფუძველზე.

იმავდროულად, კრასნოსელკის მართლმადიდებელი რელიგიური საზოგადოების სრულუფლებიანმა წევრებმა, უმე-ს ტულჩინის ეპარქიის ტაძრის წინამძღვარი მღვდლის თავში დგომით, მონაწილეობა არ მიუღიათ კრასნოსელკის სოფლის შეკრებილი ნაწილი მოსახლეობის კენჭისყრაში უმე-ს რელიგიური კრებულის კანონიკური კუთვნილების შეცვლის საკითხზე, რასაც მოწმობს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის წინამძღვრის შესაბამისი განცხადებები.

უმე-ს ტულჩინის ეპარქიის კრასნოსელკის რელიგიური კრებულის ხელმძღვანელის პროტესტის მიუხედავად, ვინიცის ოლქის რეგიონალური სახელმწიფო ადმინისტრაციის სახელმწიფო რეგისტრატორმა უკანონოდ დაარეგისტრირა კლონირებული „მართლმადიდებელი კრებული“ როგორც იურიდიულად კანონიერი. ამრიგად, უმე-ს კრასნოსელკის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის რეიდერული მიტაცება მოხდა, რომელიც თავის დროზე საზეიმოდ აკურთხა ტულჩინისა და ბრაცლავის მთავარეპისკოპოსმა იონათანმა.

ეპარქიალური საბჭოს წევრებმა დაგმეს და გადაჭრითი პროტესტი გამოთქვეს მეუ-ს პოლიტიზირებული ხულიგან-რადიკალური ჯგუფების კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე ტაძრების მიტაცებასთან დაკავშირებით უმე-ს ტუჩინის ეპარქიის კანონიკური ტერიტორიაზე.

მათ აღნიშნეს „კონსტანტინეპოლის პატრიარქ ბართლომეოსის ანტიჰუმანური გულგრილობა“, რომელიც ჯიუტად „არ იმჩნევს“ კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარესი მიტროპილიტ ონოფრეს ერთგული სამწყოსასდმი მეუ-ს პოლიტიზირებული რადიკალების მხრიდან სასტიკი ძალადობის აქტებს, რომელიც კრებსითად არის არჩეული უკრაინის კანონიკური მართლმადიდბელი ეპისკოპატის მიერ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრად და აღიარება აქვს მიღებული ადგილობრივი ეკლესიების სრული სიასვსის მხრიადნ, მათ შორის კონსტანტინეპოლის ეკლესიიდანაც“.

„რამდენადაც მასმედიაში გაჩნდა მუქარები მეუს-ს რადიკალების მხრიდან გააგრძელონ უმე-ს კანონიკური ტაძრების მიტაცება, არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ასეთი მუქარები არის კიევში პატრიარქ ბართლომეოსის ვიზიტის შედეგი, რომელმაც მეუ-ს მეთაურის ეპიფანე დუმენკოს განცხადებით, აღაფრთოვანა მეუ-ს მომხრეები ე.წ. „თვითდამკვიდრებაზე“ უკრაინაში,“ – აღნიშნულია ტუჩინის ეპარქიის განცხადებაში.

ტულჩინის ეპარქიის საეპარქიო საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს უმე-ს საქმეთა მმართველის, ბორისპილისა და ბროვარის მიტროპოლიტ ანტონის განცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ „მეუ-ს ფორმირება ანგრევს არა მხოლოდ უკრაინაში მართლმადიდებელ ქრისტიანთა ერთობას, არამედ იწვევს ქვეყნის ტერიტორიების შიდა ერთიანობის დრამატულ შესუსტებას “.

საეპარქიო საბჭოს საგანგებო სხდომაზე შედეგებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, გაეგზავნოს პროტესტის წერილი უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის, როგორც კონსტიტუციისა და უკრაინის ერთიანობის გარანტს, დაბეჯითებითი თხოვნით, დაიცვას უკრაინის მოქალაქეთა – უმე-ს ტულჩინის ეპარქიის მორწმუნეთა უფლებები, პატივი და ღირსებები, როგორც უკრაინის მრავალეროვნული და მრავალმილიონიანი მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილისა.

თავიანთი უფლებების დასაცავად მორწმუნეებს მოუწოდეს სამოქალაქო მოძრაობა «Миряне»-ს (ერისკაცები) გარშემო კონსოლიდაციისკენ. საბჭომ დაადგინა ლიტანიობის ან მდგომარე ლოცვის ჩატარება ტულჩინის ეპარქიაში ტაძრების მიტაცებისა და უმე-ს სამღვდელოებისა და ერთგულების სამართლებრივი შევიწროვების შეწყვეტის ვედრებით, ასევე, შესაძლებლობა საკითხის განხილვისა, ვინიცაში გაიმართოს უმე-ს ყველა ეპარქიის სამღვდელოებისა და ერისკაცების ერთიანი მდგომარე ლოცვა.

*სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური*

*უმე-ს ტულჩინის ეპარქიის საიტის მასალების მიხედვით*

---

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87984/